



თარგმანი ინგლისურიდან

საქართველოში აივ ინვესტიის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს

წლიური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2017 წლის 1 მარტი - 2018 წლის 28 თებერვალი

ანგარიშში ასახულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2017 წლის 1 მარტი - 2018 წლის 28 თებერვალი პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ასპექტები

საფუძვლები

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ქსს) წარმოადგენს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების განხორციელების ცენტრალურ მექანიზმს. ქსს წარმოადგენს მრავალსექტორულ პლატფორმას ქვეყნის მიერ პროგრამებზე პასუხისმგებლობისთვის, აივ-ის და ტუბერკულოზის პოლიტიკისა და პროგრამული საკითხების გარშემო ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორისაა სამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მულტი- და ბილატერალური პარტნიორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, დაავადებით დაზარალებული პირები და პაციენტები. ქსს-ს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის დადგენილებით და 2015 წლის 1 ივნისის ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტით.

საზედამხედველო საქმიანობა/ ქსს-ს სხდომები

ქსს-ს სხდომები

ანგარიშგების პერიოდში გაიმართა საბჭოს ოთხი სხდომა (86-ე - 2017 წლის 10 აპრილი, 87-ე - 2017 წლის 7 აგვისტო, 88-ე - 2017 წლის 24 ნოემბერი, 89-ე - 2018 წლის 9 თებერვალი).

ქსს-ს 86-ე სხდომა

სხდომის ძირითადი აქცენტები: გლობალური ფონდის პროექტების მიმდინარეობის სტატუსი, საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში, ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის ინიციატივა თემის დონეზე შპრიცების და ნემსების პროგრამის და მეთაღონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნის შესახებ, ინფორმაცია გლობალური ფონდის რეგიონული პროექტის „აღმოსავლეთ ევროპაში და ცენტრალურ აზიაში მსმ-ებისა და ტრანსგენდერების აივ/შიდსის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაძლიერებისკენ მიმართული თემის ქმედებები“, ინფორმაცია დაფინანსების განაცხადის შემუშავებაში მჭიდრო ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით გამართული სათემო ორგანიზაციების შეხვედრების შედეგების შესახებ. აივ პოზიტიური პირების მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული კომპონენტით სარგებლობის საკითხისადმი მიძღვნილი დისკუსიის შემდეგ გაიმართა შეხვედრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და დეპარტამენტის წარმომადგენელთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აივ პოზიტიური თემის წარმომადგენელი, ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე, სამდივნო. აივ/შიდსთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია და ინფორმაციის ნაკლებობა იქნა დასახელებული აივ პოზიტიური პირების მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული სერვისების/შეღავათების არასრული გამოყენების მიზეზებად. დაიგეგმა შესაბამისი ზომების განხორციელება.

ქსს-ს 87-ე სხდომა.

სხდომის ძირითადი აქცენტები: გლობალური ფონდის პროექტების მიმდინარე სტატუსი, საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში, დეშბორდის რეკომენდაციები, გლობალური ფონდის ალოკაციის წერილი, წარსადგენი განაცხადის ფორმატი, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის როლი განაცხადების შემუშავების პროცესში. სხდომის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: მომზადდეს პროგრამის გაგრძელების მოთხოვნები აივ და ტბ გრანტებისათვის, მოხდეს ორი ცალკეული განაცხადის წარდგენა (ტბ და აივი), პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტს მიენიჭა განაცხადის შემუშავების პლატფორმის ფუნქცია. ფართო დიალოგის რეჟიმის უზრუნველყოფის და სამუშაო პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობის, განსაკუთრებით კი ძირითადი დაზარალებული და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდეს კომიტეტის შემადგენლობის გაფართოება. წევრებს ეთხოვათ აღნიშნული ინფორმაციის დაინტერესებულ მხარეებს შორის გავრცელება, შესაბამისი განცხადება განთავსდა ქსს-ს ვებ-გვერდზე.

ქსს-ს 88-ე სხდომა

წარდგენილ იქნა პროგრამების განხორციელების სტატუსი, მათ შორის დაგეგმილი რეალოკაციის/რეპროგრამირების აქტივობები. გადაწყდა განაცხადი პროგრამის გაგრძელების შესახებ წარედგინოს გლობალურ ფონდს მე-6 ფანჯრის ფარგლებში - 2018 წლის 6 აგვისტოს. პროფესორმა თენგიზ ცერცვაძემ წარადგინა ახალი ინიციატივა სახელწოდებით „დავასრულოთ შიდსის ეპიდემია საქართველოში“; გადაწყდა, რომ ამჟამინდელი ძირითადი მიმღების ხელახალი არჩევის საკითხი დადგება ელექტრონულ კენჭისყრაზე „საწინააღმდეგო მოსაზრების არარსებობის“ ფორმატში; EHG კონსულტანტებმა წარადგინეს ქსს-ს გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსიის მონახაზი; განხილულ იქნა GIZ-დან ტექნიკური დახმარების მიღების შესაძლებლობის საკითხი; გადაწყდა მოხდეს ორი დელეგატის ნომინირება აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის წარმომადგენლობაში (ერთი - არასამთავრობო სექტორიდან, ერთი - სამთავრობო სექტორიდან); განხილულ იქნა ქცევის კოდექსის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, გადაწყდა, რომ

კომენტარების მიწოდება სამდივნოსათვის მოხდება ელექტრონულ ფორმატში. ელექტრონული კენჭისყრის შედეგად, გლობალური ფონდის გრანტების ამჟამინდელი ძირითადი მიმღები - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - ერთხმად იქნა ხელახლად შერჩეული გრანტებს ძირითად მიმღებად.

ქსს-ს 89-ე სხდომა

სხდომის ძირითადი აქცენტები: აივ და ტბ პროგრამების განხორციელების სტატუსი; გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადების მზადების პროცესი; მიმდინარე პროგრამის დანაზოგი/რეპროგრამირების წინადადებები; საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში.

საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრები/ვიზიტები

ანგარიშგების პერიოდში გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის 4 შეხვედრა და 4 ვიზიტი, აქედან 2 ვიზიტი განხორციელდა რეგიონებში. ჯამურად მონახულებულ იქნა 11 საიტი.

ვიზიტის თარიღი	ადგილმდებარეობა	მიზანი
2017 წლის 17 ივნისი	ტბ მობილური ამბულატორია	<p>ვიზიტის ამოცანები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე მობილური ამბულატორიის საპილოტე პროექტის ახლოს გაცნობა 2. ანტიტუბერკულოზური მკურნალობის სერვისის მიწოდების მონიტორინგი 3. შესაძლო გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

<p>2018 წლის 16 იანვარი</p>	<p>ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი</p>	<p>ვიზიტის ამოცანები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მხარდაჭერა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების ღონისძიებების უზრუნველყოფა“ მიმდინარეობის შესწავლა 2. მკურნალობაზე დამყოლობის მხარდაჭერი მიდგომებთან ჰარმონიზაციის შესახებ ინფორმაციის შეკრება 3. პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი შესაძლო გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.
<p>2018 წლის 25-26 იანვარი</p>	<p>ბათუმი, აჭარა ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი; ბათუმის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი</p>	<p>ვიზიტის ამოცანები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პროგრამის ქვე და ქვე-ქვე-კონტრაქტორებისგან ინფორმაციის შეგროვება გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელებისა და აქტივობების შესახებ 2. გრანტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვა.

	<p>- ორგანიზაცია „იმედი“; საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, ბათუმის ფილიალი; შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი, ბათუმის ფილიალი; ბათუმის რესურს ცენტრი, ორგანიზაცია „იდენტობა“.</p>	
<p>2018 წლის 23 თებერვალი</p>	<p>გორი</p> <p>გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისაკენ“; ტუბერკულოზის ცენტრი.</p>	<p>ვიზიტის ამოცანები:</p> <p>შიდსისა და ტუბერკულოზის პროექტების მიმდინარეობის სტატუსის შეფასების და მათ განხორციელების პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირება</p>
<p>საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრის თარიღი</p>	<p>ადგილმდებარეობა</p>	<p>მიზანი</p>

2017 წლის 24 მაისი	დკსჯეც	2016 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდის დემზორდების (პ2) და 2017 წლის იანვარი - მარტის პერიოდის დემზორდების (აივი - პ3; ტბ - NFM - პ1) განხილვა
2017 წლის 25 ოქტომბერი	დკსჯეც	აივ გრანტის მე-4 პერიოდის და ტბ გრანტის მე-2 პერიოდის დემზორდების განხილვა
2017 წლის 9 ნოემბერი	დკსჯეც	შეხვედრა გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერთან, ქ-ნ გიონგივერ ჯაკაბთან
2017 წლის 17 ნოემბერი	დკსჯეც	შეხვედრა აივ პროგრამის შესწავლის მისიის წარმომადგენლებთან
2017 წლის 21 ნოემბერი	დკსჯეც	შეხვედრა EHG კონსულტანტებთან განახლებული დემზორდების ახალი ფორმატის განხილვის მიზნით
2018 წლის 1 თებერვალი	დკსჯეც	2017 წლის მე-3 კვარტალის აივ და ტბ პროგრამების დემზორდების განხილვა

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა/ქსს-ს ევოლუცია/პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი (პასკ)

ანგარიშგების პერიოდში გაიმართა კომიტეტის 5 შეხვედრა

1) პასკის შეხვედრა #8. 2017 წლის 11 მაისი. ამოცანები: გლობალური ფონდის კომენტარებზე საქართველოს გარდამავალი პერიოდის გეგმის შესახებ უკუკავშირის განხილვა და შემოთავაზებულ ცვლილებებსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით პასკ-ის კომენტარების შემუშავება.

2) პასკის შეხვედრა #9. 2019 წლის 28 ივნისი. ამოცანები: EHG კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ქსს ევოლუციის გეგმის მონახაზის თაობაზე ჯგუფის წევრების ინფორმირება და დისკუსია; ქსს ევოლუციის გეგმის შემუშავების პროცესში პასკ-ის

როლის და ჯგუფის შემდგომი მუშაობის წესების განსაზღვრა.

3) პასკის შეხვედრა #10. 2017 წლის 11 აგვისტო. ამოცანები: ქსს-ს ევოლუციის ძირითადი სტრატეგიული ვერსიების შესახებ და ქსს-ს მომავალ მარეგულირებელი ჩარჩოს, სტრუქტურის, ფუნქციების და დაფინანსების მექანიზმების შესახებ დისკუსიის წარმართვა.

4) პასკის შეხვედრა #11. 2017 წლის 7 ნოემბერი. ამოცანები: დაფინანსების განაცხადების მზადების პროცესის განხილვა.

5) პასკის შეხვედრა #12. 2017 წლის 22 ნოემბერი. ამოცანები: შეხვედრა EHG-ის კონსულტანტებთან ქსს გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსიის განსახილველად. გეგმის მონახაზი წარდგენილ იქნა ქსს-ს 86-ე სხდომაზე.

ქსს-ს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

2018 წლის 20 თებერვალს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი. ფორუმის კონცეფცია შემუშავდა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მიერ. ფორუმი წარმომადგენლობითი ხასიათის იყო. მას 100-ზე მეტი მონაწილე დაესწრო, მათ შორის სათემო ორგანიზაციის ფართო წარმომადგენლობა, დაზარალებული ჯგუფების წარმომადგენლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, სამთავრობო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ფორუმი გაშუქდა მას-მედიის მიერ. წარდგენილ და განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: სახელმწიფოს მხრიდან გარდამავალი პერიოდის მხარდაჭერა/სახელმწიფო დაფინანსების ზრდის ტენდენციები; გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე აივ-ის და ტუბერკულოზის გრანტები, გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადების მზადების პროცესი; აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კონტროლის მიმდინარე ინიციატივები და მათ განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების როლი.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ტუბერკულოზის რეგიონული პროექტის ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერების (TB-REP/HSS) ეროვნული სამუშაო ჯგუფი

სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრა გაიმართა 2018 წლის 19 თებერვალს. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ტუბერკულოზის ამბულატორიულ სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება; კერძო პროვაიდერების როლი და

ტუბერკულოზის კონტროლისთვის ადამიანური რესურსის მომზადება. შეხვედრა გაიმართა TB-REP / HSS პროექტთან კოორდინაციაში.

ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციის ჯგუფი

2018 წლის 16 იანვარს გაიმართა ჯგუფის მე-7 შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა კვლევების მიმდინარე სტატუსი.

გლობალური ფონდის ვიზიტი საქართველოში

6-12 ნოემბერს განხორციელდა გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერის, ქ-ნი გიონგივერ ჯაკაბის ვიზიტი საქართველოში. მისი ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ქსს-ს თავმჯდომარესთან, პასკ-ის თავმჯდომარესთან, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ძირითად მიმღებთან, დაფინანსების ადგილობრივ სააგენტოსთან (LFA), პასკ-თან, საზედამხედველო კომიტეტთან, ქსს-ს წევრებთან. ჩატარდა ვიზიტები პროგრამების განხორციელების ადგილებზე: ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა, თანასწორობის მოძრაობა (ადგილზე PReP-ის განხორციელების მიმდინარეობის შესასწავლად), MSM-ზე მიმართული გასვლითი სესია, ახალი ვექტორი, ტბ ამბულატორია, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრი. განხორციელდა ვიზიტი ზუგდიდში, სადაც მონახულებულ იქნა შემდეგი პროგრამების განხორციელების საიტები: ნემსების და შპრიცების პროგრამა, ტბ პროგრამა, ქალ სექს-მუშაკებზე მიმართული სერვისები, MSM-ზე მიმართული სერვისები.

გლობალური ფონდის გრანტები

NFM GEO-H-NCDC. განხორციელების პერიოდი: 2016 წლის ივლისი - 2019 წლის ივნისი.

NFM GEO-T-NCDC. განხორციელების პერიოდი: 2017 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 31 დეკემბერი.

გლობალური ფონდის გრანტების აქტივობები ძირითადად მიმდინარეობს დასახული გეგმის თანახმად. მიმდინარე პროგრამის დანაზოგი/რეპროგრამირების წინადადებები წარდგენილ იქნა 2018 წლის 9 თებერვალს გამართულ ქსს-ს 89-ე სხდომაზე.

დაფინანსების მოთხოვნის მზადება

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიმართავს დაფინანსების მოთხოვნის შემუშავების ღია და წარმომადგენლობითი პროცესის მეშვეობით შემუშავებისკენ მიმართულ ყველა შესაძლო მცდელობას. განაცხადების გამჭვირვალე და ღია ფორმატის და პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით კი დაზარალებული ჯგუფების ჩართვის მიზნით, 87-ე სხდომის გადაწყვეტილების თანახმად ქსს-მ გამოაცხადა პასკ-ის შემადგენლობის გაფართოება. ყველა პირი, რომელმაც გამოთქვა შესაბამისი სურვილი შეყვანილ იქნა კომიტეტის შემადგენლობაში. ინფორმირების და მონაწილეობის გაფართოების მიზნით განაცხადის მომზადების პროცესი განხილულ იქნა 2018 წლის 20 თებერვალს გამართული სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფართო აუდიტორიის წინაშე.

2018 წლის 28 მარტი

ანგარიში მოამზადა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ

ანგარიში თარგმნა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ